

შპს „ბენე ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან	8
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	8
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. ფინანსური ხარჯები	9
9. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9
10. ძირითადი საშუალებები	10
11. ფული და ფულის ექვივალენტები	11
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
13. გადასახადები	11
14. მარაგები	11
15. მიღებული სესხები	11
16. ფინანსური იჯარის ვალდებულება	11
17. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12

შპს “ბენე ჯგუფი”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	19,051,036	16,232,990
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	6	(16,347,395)	(13,713,367)
საერთო მოგება		2,703,641	2,519,623
კომერციული ხარჯები		(48,149)	(87,035)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,044,911)	(1,778,192)
საოპერაციო მოგება		610,581	654,396
ფინანსური შემოსავალი		15,158	10,175
ფინანსური ხარჯი	8	(189,548)	(191,562)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		52,195	57,341
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(132,135)	(131,257)
საკუროსო ზარალი		(708,926)	(114,186)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(352,675)	284,907
მოგების გადასახადი		(4,644)	(11,500)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(357,319)	273,407

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი გოგლიძე
დირექტორი

შპს "ბენე ჯგუფი"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	19,051,036	16,232,990
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	6	(16,347,395)	(13,713,367)
საერთო მოგება		2,703,641	2,519,623
კომერციული ხარჯები		(48,149)	(87,035)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,044,911)	(1,778,192)
საოპერაციო მოგება		610,581	654,396
ფინანსური შემოსავალი		15,158	10,175
ფინანსური ხარჯი	8	(189,548)	(191,562)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		52,195	57,341
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(132,135)	(131,257)
საკურსო ზარალი		(708,926)	(114,186)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(352,675)	284,907
მოგების გადასახადი		(4,644)	(11,500)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(357,319)	273,407

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი გოგლიძე
დირექტორი



შპს “ბენე ჯგუფი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,454,369	2,565,251
არამატერიალური აქტივები		16,912	10,885
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,471,281	2,576,136
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	158,829	264,424
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,346,622	1,602,290
გაცემული სესხი		192,789	99,139
საგადასახადო აქტივი	13	-	4,921
მარაგები	14	8,246	9,281
მისაღები პროცენტები		30,298	15,141
სულ მიმდინარე აქტივები		2,736,784	1,995,196
სულ აქტივები		5,208,065	4,571,332
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		194,329	577,963
სულ კაპიტალი		194,329	577,963
გრძელვადიანი სესხები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	15	535,722	348,470
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	16	569,579	636,733
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,487,263	1,411,786
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	2,451,722	1,834,228
მოკლევადიანი სესხები	15	632,188	333,046
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	16	425,323	414,309
საგადასახადო ვალდებულებები	13	17,240	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,526,473	2,581,583
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,208,065	4,571,332

შპს “ბენე ჯგუფი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2018	-	273,407	369,725
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		273,407	273,407
დივიდენდის გამოცხადება		(65,169)	(65,169)
31 დეკემბერი 2019	-	577,963	577,963
მიმდინარე წლის სრული ზარალი		(357,319)	(357,319)
დივიდენდის გამოცხადება		(26,315)	(26,315)
31 დეკემბერი 2020	-	194,329	194,329

1. კორპორატიული ინფორმაცია

„ბენე ჯგუფი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2014 წლის 16 ივნისს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 401998086.

ძირითადი საქმიანობა. შპს ბენე ჯგუფი წარმოადგენს საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიას. კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მომსახურებებს: ლოჯისტიკური; ადგილობრივი გადაზიდვები; ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვები საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტირების გზით. 2017 წლიდან კომპანიამ დაიწყო ახალი პროექტი “Bene Exclusive”, რომელიც მომხმარებლებს მერსედეს-ბენცის, ტოიოტას და ლექსუსის ფორმის უახლესი ავტომობილებით გადაადგილების სერვისს სთავაზობს. კომპანიაში საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 44 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, გ. ჩიტაიას ქ., №16.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის მფლობელები იყვნენ:

- ზურაბ ბასილია - 60%
- მიხეილ ნამადოვი - 20%
- მაკა ცეციტიშვილი - 20%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღე-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღე-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღე-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

	2020	2019
ამონაგები საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურებიდან	18,513,319	14,911,720
ამონაგები შიდა გადაზიდვის მომსახურებიდან	297,217	377,927
ამონაგები სატრანსპორტო საშუალების იჯარიდან	172,442	603,338
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	68,058	340,005
სულ ამონაგები მომსახურების გაწევიდან	19,051,036	16,232,990

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები

	2020	2019
საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურების ხარჯები	(16,034,596)	(13,121,918)
ცვეთა და ამორტიზაცია	(216,506)	(208,588)
შიდა გადაზიდვის მომსახურების ხარჯები	(57,209)	(195,817)
ავტომანქანის იჯარის ხარჯები	-	(116,541)
მომსახურების სხვა ხარჯები	(39,084)	(70,503)
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	(16,347,395)	(13,713,367)

შპს “ბენე ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(1,498,608)	(1,218,268)
დაზღვევის ხარჯები	(128,249)	(130,152)
იჯარის ხარჯი	(75,613)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(56,777)	(46,840)
ბანკის საკომისიო	(49,937)	(43,815)
ავტომანქანის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯები	(46,171)	(50,752)
საკონსულტაციო ხარჯები	(32,058)	(26,425)
კომუნიკაციის ხარჯები	(21,243)	(14,658)
საგადასახადო ხარჯი	(18,675)	(8,265)
საკანცელარიო ხარჯები	(11,625)	(8,509)
საწვავის ხარჯები	(9,219)	(33,195)
კომუნალური ხარჯები	(8,564)	(5,850)
მივლინების ხარჯები	(6,845)	(26,769)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(81,326)	(164,694)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,044,911)	(1,778,192)

8. ფინანსური ხარჯები

	2020	2019
ფინანსური იჯარის პროცენტის ხარჯები	(132,507)	(128,075)
სესხების საპროცენტო ხარჯი	(57,041)	(49,147)
სხვა ფინანსური ხარჯი	-	(14,340)
სულ ფინანსური ხარჯები	(189,548)	(191,562)

9. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2020	2019
დაზიანებული ტვირთის ანაზღაურება ხარჯები	(8,097)	(15,982)
უსასყიდლო მიწოდება	-	(255)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(124,038)	(115,020)
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(132,135)	(131,257)

შპს “ბენე ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო აქტივი საკუთრების გადაცემის პირობით	ჯამი
31 დეკემბერი, 2018	-	380,370	76,463	38,423	30,815	2,075,544	2,601,615
წლის განმავლობაში შემოსვლა	-	-	18,149	9,126	-	878,789	906,064
გასვლა	-	-	-	-	-	(577,481)	(577,481)
31 დეკემბერი, 2019	-	380,370	94,612	47,549	30,815	2,376,852	2,930,198
წლის განმავლობაში შემოსვლა	54,429	-	64,020	23,161	-	21,403	163,013
გასვლა	-	-	(2,469)	-	(19,612)	-	(22,081)
31 დეკემბერი, 2020	54,429	380,370	156,163	70,710	11,203	2,398,255	3,071,130
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი, 2018	-	(22,657)	(17,413)	(11,336)	(24,752)	(72,581)	(148,739)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(17,886)	(13,884)	(6,326)	(9,479)	(199,109)	(246,684)
გასვლა	-	-	-	-	23,884	6,592	30,476
31 დეკემბერი, 2019	-	(40,543)	(31,297)	(17,662)	(10,347)	(265,098)	(364,947)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(17,038)	(19,887)	(9,032)	(1,632)	(209,872)	(257,461)
გასვლა	-	-	-	-	5,647	-	5,647
31 დეკემბერი, 2020	-	(57,581)	(51,184)	(26,694)	(6,332)	(474,970)	(616,761)
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი, 2019	-	339,827	63,315	29,887	20,468	2,111,754	2,565,251
31 დეკემბერი, 2020	54,429	322,789	104,979	44,016	4,871	1,923,285	2,454,369

შპს “ბენე ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულად საშუალებებს.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,135,092	1,506,646
მოთხოვნები ავტომანქანის იჯარიდან	114,570	-
მოკლევადიანი ავანსები	42,338	80,515
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	54,622	15,129
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,346,622	1,602,290

13. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

14. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საწვავი	1,374	2,409
სხვა მარაგები	6,872	6,872
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	8,246	9,281

15. მიღებული სესხები

კომპანიას სესხი მიღებული აქვს ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებიდან. მოკლევადიანი სესხი წარმოადგენს გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილს, რომელიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში. სესხი აღებულია დოლარსა და ევროში.

16. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა:		
არა უგვიანეს ერთი წლისა	498,327	483,353
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	636,748	716,735
ხუთი წლის შემდეგ	-	-
სულ მინიმალური გადასახდელები	1,135,075	1,200,088
გამოკლებული: ფინანსური ხარჯები	(140,173)	(149,046)
ფინანსური იჯარა		
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	425,323	414,309
ფინანსური იჯარის ვალდებულება გრძელვადიანი	569,579	636,733
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები	994,902	1,051,042

შპს “ბენე ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,870,719	1,769,805
მიღებული ავანსები	90,484	44,878
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	490,519	19,545
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,451,722	1,834,228